მიგრაციის გამოცდილების მქონე ქართველი ნარკოტიკების მომხმარებლების საჭიროებების შემსწავლელი თვისებრივი კვლევა

ავტორი: მარიამ შეროზია

პროგრამა: ადიქციის კვლევები

ხელმძღვანელი: პროფესორი ჯანა (დარეჯან) ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ შეროზია

29.06.2022

აბსტრაქტი

შესავალი: საქართველოში ემიგრაციის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. თუმცა ემიგრაციის ამგვარი მასშტაბის გათვალისწინებით, აქამდე არ ჩატარებულა კვლევა, ფოკუსირებული ემიგრაციის გამოცდილების მქონე ქართველ ნარკოტიკების მომხმარებლებზე და მათ საჭიროებებზე.

კვლევის მიზანი: ემიგრაციის გამოცდილების მქონე ქართველი ნარკოტიკების მომხმარებლების ბიოფსიქოსოციალური საჭიროებების შესწავლა. საკვლევი საკითხები: ნარკოტიკების მომხმარებელთა უცხოეთში მიგრაციის გადაწყვეტილებების მოტივაცია, საქართველოში დაბრუნების მოტივაცია, საქართველოსა და უცხოეთში სამკურნალო და ზიანის შემცირების სერვისებით სარგებლობის გამოცდილება, რესპონდენტების ნარკოტიკ(ებ)ის მოხმარების პატერნები, ჯანმრთელობის საჭიროებები და ცხოვრების დაგეგმვის თავისებურებები.

კვლევის მეთოდოლოგია: თვისებრივი კვლევა, ჩაღრმავებული ინტერვიუები პირისპირ/სატელეფონო/ონლაინ ფორმატში. გამოყენებული იყო ხელმისაწვდომი შერჩევა. რესპონდენტების მოძიება მოხდა ზიანის შემცირების სერვისების ხელმძღვანელების დახმარებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო მიგრაციის გამოცდილების მქონე ათმა ადამიანმა, რომლებიც არიან/იყვნენ ნარკოტიკის მომხმარებლები და აქვთ საქართველოში/საზღვარგარეთ ზიანის შემცირების და სამკურნალო პროგრამებით სარგებლობის გამოცდილება. მონაცემები დამუშავდა Nvivo-ს გამოყენებით.

კვლევის შედეგები: მიგრაციის ყველაზე ხშირ მიზეზად დასახელდა ეკონომიკური პრობლემები, ასევე - რეპრესიული კანონმდებლობა და ჯანმრთელობის მდგომარეობა. საქართველოში დაბრუნების ყველაზე ხშირი მიზეზი იყო დეპორტაცია. გამოკითხულთა უმრავლესობას აღმოაჩნდა რამდენჯერმე მიგრაციის გამოცდილება. მიგრაციის ყველაზე ხშირ ადგილად დასახელდა გერმანია, საფრანგეთი და კანადა. უკლებლივ ყველა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ უცხოეთში, საქართველოსთან შედარებით, ბევრად ხარისხიანი და საჭიროებებზე მორგებული სამკურნალო და ზიანის შემცირების სერვისებია. თუმცა, კვლევის თანახმად, რესპონდენტების უმეტესობა მიგრაციაში (და/ან დეპორტაციის შემთხვევაში)

მოქმედი რისკის ფაქტორების გავლენით, გადადის მოხმარების უფრო სარისკო პატერნებზე. რესპონდენტთა ნახევარმა აღნიშნა, რომ აქვს ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის პრობლემები, თუმცა მხოლოდ ერთი მათგანი მკურნალობს სპეციალისტთან. გარდა ამისა, გამოკითხულთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ აქვს ფინანსური პრობლემები; რესპონდენტთა ნახევარი ამჟამად დაუსაქმებელია და აქვს კვლავ მიგრაციის სურვილი.

დასკვნები და რეკომენდაციები: კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი მანკიერი წრე: საქართველოში ბიოფსიქოსოციალური საჭიროებების დაკმაყოფილების პირობების არქონა - მიგრაცია - მოხმარების დაწყება ან უფრო საზიანო მოხმარების პატერნებზე გადასვლა და სოციალური გარიყვა - დეპორტაცია - საქართველოში კიდევ უფრო საზიანო მოხმარების პატერნებზე გადასვლა და შემდგომი ინტეგრაციის სირთულეები - საქართველოში ბიოფსიქოსოციალუკრი საჭიროებების არასათანადო დაკმაყოფილების გამო ხელახალი წასვლის მოტივაცია - კვლავ მიგრაცია და ა.შ. ამ მანკიერი წრის გასარღვევად, აუცილებელია ზრუნვაზე ორიენტირებული ნარკოპოლიტიკის დანერგვა და სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა. ზიანის შემცირების და სამკურნალო სერვისის მიმწოდებლებში საჭიროა გაძლიერდეს ნარკოტიკზე დამოკიდებულების შესახებ ცნობიერება, რათა ბენეფიციარებს მიეწოდოთ არაგანსჯითი (მომხმარებლებისთვის მეგობრული) სერვისი. ასევე, სერვისი უნდა იყოს ერთობლივად კონცენტრირებული ბიოფსიქოსოციალურ საჭიროებებზე.

საკვანძო სიტყვები: ქართველი ნარკოტიკების მომხმარებლები, მიგრაციის გამოცდილება, ზიანის შემცირების/მკურნალობის პროგრამებით სარგებლობა.

Abstract

Introduction: The emigration rate in Georgia is quite high. However, considering this scale of emigration, no research has been conducted so far, focusing on Georgian emigrant drug users and their needs.

Aim of the research: To study the biopsychosocial needs of Georgian drug users with emigration experience. Research issues: Motivation of drug users' decisions to migrate abroad, motivation to return to Georgia, experiences of using treatment and harm reduction services in Georgia and abroad, respondents' patterns of drug(s) use, health needs, and life planning features.

Method: Qualitative research, in-depth interviews, the mix of face-to-face/telephone/online format. The available selection was used. Respondents were recruited with the assistance of leaders of harm reduction services. Ten people with migration experience who are/were drug users and have experience of harm reduction and treatment programs abroad in Georgia participated in the study. Data were processed using Nvivo.

Results/Findings: The most common reasons for migration were economic problems, as well as repressive legislation and health conditions. Deportation was named the most frequent reason for returning to Georgia. Most of the respondents had the experience of migrating several times. The most frequent places of migration were Germany, France, and Canada. Almost all respondents noted that there are much better quality and need-based treatment and harm reduction services abroad compared to Georgia. However, according to the study, most of the respondents move to riskier consumption patterns due to migration (and/or deportation) risk factors. Half of the respondents indicated that they have psychological health problems, although only one of them is receiving treatment from a specialist. In addition, most of the respondents indicated that they have financial problems; Half of the respondents are currently unemployed and have the desire to migrate again.

Conclusions and Recommendations: Based on the research, the following interrelationships were identified: lack of conditions for satisfying biopsychosocial needs in Georgia - migration - initiation of consumption or transition to more harmful consumption patterns - and social exclusion - deportation - transition to even more harmful consumption patterns in Georgia

and further integration difficulties due to improper satisfaction of biopsychosocial needs in Georgia - motivation to leave again - migration and so on. To break this vicious circle, it is necessary to introduce a care-oriented drug policy and increase access to services. Drug addiction awareness needs to be strengthened among harm reduction and treatment service providers to provide non-judgemental (user-friendly) services to beneficiaries. Also, services should be jointly focused on biopsychosocial needs.

Key words: Georgian drug users, migration experience, use of harm reduction/treatment programs.

მადლობა

კვლევის მონაწილეთა მოძიება/ჩართვაში დახმარებისთვის დიდ მადლობას ვუხდი ზიანის შემცირების ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მათ შორის:

- ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის გამგეობის თავმჯდომარეს და ქუთაისის სათემო ორგანიზაცია რუბიკონის ხელმძღვანელ ზაზა ქარჩხაძეს;
- ზუგდიდის ახალგაზრდა ფსიქოლოგთა და ექიმთა ასოციაცია "ქსენონი"ს დირექტორ ნინო ჯანაშიას;
- თბილისის ფსიქო-სოციალური ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრის "ახალი გზა" დირექტორს ქალბატონ დალი უშარიძეს;
- გორის სამედიცინო ფსიქოლოგიური კავშირის "ნაბიჯი მომავლისკენ" დირექტორს ქეთევან ბიძინაშვილს.

კვლევაში მონაწილეობისთვის:

- კვლევის თითოეულ რესპონდენტს, ინტერვიუირების დროს გამოხატული ღიაობისთვის და გამოცდილების გულწრფელი გაზიარებისთვის.

ნაშრომის ხარისხის უზრუნველყოფაში გაწეული დახმარებისთვის, დიდ მადლობას ვუხდი:

- პროფესორ ირმა კირთაძეს ანალიზის პროცესში გაწეული დახმარებისთვის და პროფესორ დავით ოთიაშვილს გაწეული რეკომენდაციებისთვის;
- ჩემს კოლეგა თამარ მღებრიშვილს, რომელიც დამეხმარა კვლევით მიღებული მონაცემების ანალიზისთვის საჭირო პროგრამის დაუფლებაში;
- ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ ჯანა ჯავახიშვილს, კვლევის იდეის ჩამოყალიბებასა და მეთოდოლოგიის განსაზღვრაში დახმარებისა და კვლევის პროცესში გაწეული უკუკავშირისთვის.